



Western Economic Sanctions Against Russia: Effectiveness and the Necessity of Secondary Sanctions

Davit Osepashvili^{a1}

^a PhD student, Caucasus International University

ARTICLE INFO ABSTRACT

Keywords:

Sanctions
Russia
Global instability
Energy embargo
Export controls
Economic coercion

The academic assessment of economic coercion underpins this study, which examines the structural effectiveness of Western economic sanctions imposed on the Russian Federation between 2022 and 2025 amidst global political and economic instability. The study relies on a qualitative research design, specifically utilising documentary and comparative analysis. The analysis is empirically grounded in data and reports from prominent international financial and energy institutions (IMF, World Bank, IEA), operationalising policy effectiveness through four primary channels: financial blockade, trade-logistical diversion, energy embargo, and technological export controls. The primary findings demonstrate that sanctions have significantly reduced Russia's integration with Western markets, raised transactional costs, and generated critical technological deficits. Concurrently, however, a highly institutionalised sanctions evasion ecosystem has expanded, characterised by the "shadow fleet", re-exports through third countries, and alternative financial channels. Furthermore, global economic shocks—namely energy and food inflation—have increased political costs for sanctioning states and weakened enforcement mechanisms due to the strict neutrality maintained by the Global South. The study concludes that public perceptions of "ineffectiveness" stem primarily from misaligned, maximalist expectations of immediate macroeconomic collapse. In reality, sanctions function as instruments of long-term structural constraint rather than rapid behavioural change, and enhancing their subsequent effectiveness critically requires the rigorous enforcement of secondary sanctions.

¹ Corresponding author.

E-mail addresses: david.osepashvili@ciu.edu.ge (D.Osepashvili).

ORCID: <https://orcid.org/0009-0002-3039-500X>

დასავლეთის ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ: ეფექტიანობა და მეორეული სანქციების აუცილებლობა

დავით ოსეფაშვილი^{a 2}

^a დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტატიის შესახებ

აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები:

სანქციები
რუსეთი
გლობალური
არასტაბილურობა
ენერგეტიკული
ემბარგო
ექსპორტ-კონტროლი
ეკონომიკური
იძულება

აკადემიური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, წინამდებარე კვლევა შეისწავლის დასავლეთის მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ 2022–2025 წლების პერიოდში დაწესებული ეკონომიკური სანქციების სტრუქტურულ ეფექტიანობას, გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, დოკუმენტური და შედარებითი ანალიზი. ანალიზი სპეციფიკურად ეყრდნობა საერთაშორისო ფინანსური და ენერგეტიკული ინსტიტუტების (IMF, World Bank, IEA) ემპირიულ მონაცემებსა და ანგარიშებს, რომელთა საფუძველზეც ხდება პოლიტიკის ეფექტიანობის ოპერაციონალიზაცია ოთხი ძირითადი არხით: ფინანსური ბლოკადა, სავაჭრო-ლოგისტიკური დივერსია, ენერგეტიკული ემბარგო და ტექნოლოგიური ექსპორტ-კონტროლი. კვლევის მთავარი მიგნებები აჩვენებს, რომ სანქციებმა მნიშვნელოვნად შეამცირა რუსეთის ინტეგრაცია დასავლურ ბაზრებთან, გაზარდა ტრანზაქციული ხარჯები და შექმნა კრიტიკული ტექნოლოგიური დეფიციტი. თუმცა, პარალელურად გაძლიერდა და ინსტიტუციონალიზდა სანქციების გვერდის ავლის ეკოსისტემა (ე.წ. „ჩრდილოვანი ფლოტი“, რე-ექსპორტი მესამე ქვეყნებიდან, ალტერნატიული ფინანსური არხები). გლობალურმა ეკონომიკურმა შოკებმა, ენერგეტიკულმა და სასურსათო ინფლაციამ, გაზარდა პოლიტიკური ხარჯი, სანქციონერი სახელმწიფოებისთვის და შეასუსტა აღსრულების მექანიზმები გლობალური სამხრეთის მხრიდან გამოხატული ნეიტრალიტეტის გამო. კვლევა ასკვნის, რომ „არაეფექტიანობის“ საზოგადოებრივი შეფასება უმეტესწილად არასწორი, მაქსიმალისტური მოლოდინების შედეგია, რომლებიც მყისიერ მაკროეკონომიკურ კოლაფსს პროგნოზირებდნენ. რეალურად, სანქციები წარმოადგენს გრძელვადიანი სტრუქტურული შეზღუდვის და არა მყისიერი ქცევითი ცვლილების ინსტრუმენტს, ხოლო მათი ეფექტიანობის შემდგომი ზრდა კრიტიკულად მოითხოვს მეორეული სანქციების მკაცრ აღსრულებას.

² ავტორი კორესპონდენტი.

ელექტრონული ფოსტა: david.osepashvili@ciu.edu.ge (დ.ოსეფაშვილი)

ORCID: <https://orcid.org/0009-0002-3039-500X>

1. შესავალი

სანქციები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე ცენტრალურ და ხშირად გამოყენებად სტრატეგიულ ინსტრუმენტად იქცა. ცივი ომის დასრულების შემდეგ, ეკონომიკური იძულება, სულ უფრო ხშირად განიხილება, როგორც „შუალედური გზა“ დიპლომატიურ პროტესტსა და ღია სამხედრო კონფლიქტს შორის. განსაკუთრებით იმ გლობალურ გარემოში, სადაც პირდაპირი სამხედრო ესკალაცია ბირთვული პოტენციალის მქონე სახელმწიფოებთან, მიუღებლად მაღალ ხარჯებს, კატასტროფულ შედეგებს და სისტემურ უსაფრთხოების რისკებს ქმნის. სანქციები პოლიტიკური ნების გამოხატვის მთავარ ბერკეტს წარმოადგენს. ისტორიული თვალსაზრისით, ეკონომიკური იძულების მექანიზმები ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში გაჩნდა, რისი კლასიკური ნიმუშიცაა ძვ. წ. 432 წლის „მეგარული დეკრეტი“, რომელიც ათენმა მეგარას ეკონომიკური ბლოკადის მიზნით დააწესა. თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში მსგავსი სტრატეგიული იძულების მაგალითებს წარმოადგენს აშშ-ის მიერ კუბისთვის ათწლეულების განმავლობაში დაწესებული ემბარგო ან გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან ერაყის რეჟიმის ყოვლისმომცველი დასაწესებრების შემთხვევა 1990 წელს. 2022 წლის თებერვალში სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები, თავისი მასშტაბით, სისწრაფითა და კომპლექსურობით უპრეცედენტო მოვლენაა. ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სხვა მოკავშირეების მიერ კოორდინირებული პაკეტი, რომელიც მოიცავს ფინანსური შეზღუდვების, სავაჭრო ემბარგოების, ტექნოლოგიური ექსპორტ-კონტროლისა და ენერგეტიკული ზომების ფართო სპექტრს, წარმოადგენს კოალიციური ეკონომიკური ზეწოლის ყველაზე ფართომასშტაბიან მაგალითს G20-ის წევრი სახელმწიფოს მიმართ (Council of the European Union, 2025).

მიუხედავად ამ კოლოსალური მასშტაბისა და იზოლაციის მცდელობისა, საერთაშორისო საჯარო დისკურსში, ისევე როგორც აკადემიური და ანალიტიკური წრეების გარკვეულ ნაწილში, მყარად დამკვიდრდა და ხშირად ტირაჟირდება მტკიცება, რომ სანქციები „არ მუშაობს“. ამ ნარატივს, რომელიც ერთი შეხედვით რუსეთის მაკროეკონომიკურ გამძლეობას ეყრდნობა, ორი მთავარი, ფუნდამენტური წყარო აქვს. პირველი წყაროა მაქსიმალისტური და ხშირად არარეალისტური მოლოდინები: დასავლელი პოლიტიკური ლიდერების თავდაპირველი მწვავე რიტორიკა საზოგადოებაში ქმნიდა მოლოდინს, თითქოს სანქციების პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი რუსეთის ეკონომიკის სწრაფი კოლაფსი, საზოგადოებრივი მღელვარება და საბოლოო ჯამში, სამხედრო აგრესიის მოკლე ვადაში შეწყვეტა იქნებოდა. მეორე წყარო, საზომების მონო-ცენტრირებასა და ზედაპირულობას უკავშირდება: პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება ხშირად მყარად არის მიბმული მხოლოდ ერთ ან ორ ინდიკატორზე, როგორიცაა მთლიანი შედარებითი პროდუქტის (მშპ) პოზიტიური ზრდა, ან ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი

კურსი. მსგავსი რედუქციონისტული მიდგომა სრულად უგულებელყოფს სანქციების მუშაობის ძირითად, სიღრმისეულ მექანიზმებს, რომლებიც დაუყოვნებლივ არ აისახება მშპ-ს სტატისტიკაში. ეს მექანიზმები მოიცავს ტრანზაქციული ხარჯების დრამატულ ზრდას, საინვესტიციო კლიმატის განადგურებას, ტექნოლოგიურ იზოლაციას და ლოგისტიკური სირთულეების ეტაპობრივ, მაგრამ გარდაუვალ დაგროვებას.

ვითარებას კიდევ უფრო ართულებს და კომპლექსურს ხდის ის ობიექტური მოცემულობა, რომ სანქციები მოქმედებს არა ვაკუუმში, არამედ უკიდურესად ცვალებად, პოლიცენტრულ და არასტაბილურ გლობალურ გარემოში. პოსტ-პანდემიურმა კრიზისებმა, რასაც დაემატა ომით გამოწვეული ენერგეტიკული და სასურსათო შოკები, შექმნა მძლავრი გარე ეფექტები (Spillovers). კონკრეტული სამეცნიერო პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ არსებული ანალიტიკური მოდელები ვერ ახდენენ სანქციების გრძელვადიანი სტრუქტურული ზემოქმედების დიფერენცირებას მოკლევადიანი მაკროეკონომიკური გამძლეობისგან. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სანქციების ეფექტიანობის ხელახალი შეფასება, რომელიც დაფუძნებული იქნება კონკრეტულ ეკონომიკურ არხებზე და აჩვენებს, თუ რატომ არის საჭირო არა ზედაპირული მაკრო-ინდიკატორების, არამედ მიწოდების ჯაჭვებისა და სტრუქტურული დეგრადაციის შესწავლა. ამ ფონზე, წინამდებარე სტატიაში საკვლევი პრობლემა სწორედ ამ რთულ ჭრილში ფორმულირდება: როგორ უნდა შეფასდეს რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური იძულების ობიექტური ეფექტიანობა იმ პირობებში, როდესაც გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობა (მაღალი ინფლაცია, მიწოდების ჯაჭვების რღვევა) ქმნის პოლიტიკურ ხარჯს, თავად სანქციონერი სახელმწიფოებისთვის და ერთდროულად, აძლიერებს სამიზნე სახელმწიფოსა და მესამე ქვეყნების (გლობალური სამხრეთის) მხრიდან, ემზარგოს გვერდის ავლის ფინანსურ სტიმულებს.

წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანია სანქციების ეფექტიანობის ობიექტური, დიფერენცირებული შეფასება გლობალური არასტაბილურობის ფონზე. ნაშრომი მიზნად ისახავს, პასუხი გასცეს შემდეგ საკვანძო კვლევით კითხვებს: 1. რომელი კონკრეტული ეკონომიკური არხებით ახდენს დასავლეთი სტრუქტურულ ზეწოლას და როგორია რუსეთის მაკროეკონომიკური ადაპტაციის ლიმიტები? 2. რა სტრუქტურული და ინსტიტუციური მექანიზმებით ხდება სანქციების გვერდის ავლა ენერგეტიკულ და ტექნოლოგიურ სექტორებში? 3. რა გავლენას ახდენს გლობალური სამხრეთის პოზიციონირება სანქციების აღსრულებაზე? და საბოლოოდ, არის თუ არა შეფასებითი აღქმა პოლიტიკის სრული კრახი, თუ ის უპირველესად არასწორი ინდიკატორებისა და მოლოდინების აცდენის შედეგია? სტატიის ორიგინალური წვლილი მდგომარეობს იმაში, რომ იგი სცილდება სანქციების მუშაობის მხოლოდ ზოგად თეორიულ დილემას და გვთავაზობს მათ შეფასებას გრძელვადიანი სტრუქტურული ზემოქმედების ჭრილში.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

სანქციების არსის, მიზნებისა და მათი ეფექტიანობის თეორიული გააზრება, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში ათწლეულების განმავლობაში, ინტენსიურად ვითარდებოდა. აკადემიური დისკუსიის კლასიკური ხედვა, რომელიც განსაკუთრებით რეალისტურ და ნეოლიბერალურ სკოლებში დომინირებდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში, სანქციებს მჭიდროდ უკავშირებდა იძულებითი დიპლომატიის (Coercive Diplomacy) კონცეფციას. ამ ტრადიციული პარადიგმის თანახმად, რომელიც დეტალურად არის გაანალიზებული ჰუფბაუერისა და მისი კოლეგების (Hufbauer et al., 2007) ფუნდამენტურ ნაშრომებში, იძულების მექანიზმი მარტივ, ხარჯთაღრიცხვის ლოგიკას ეფუძნება: სამიზნე სახელმწიფომ უნდა შეცვალოს თავისი მიუღებელი ქცევა ან პოლიტიკური კურსი იმის გამო, რომ სანქციებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი (Cost) დროთა განმავლობაში, აღემატება წინააღმდეგობის გაგრძელებიდან მიღებულ სარგებელს (Benefit). თუმცა, ისტორიული შემთხვევების ვრცელი ემპირიული ანალიზი ცხადყოფს, რომ მსგავსი სწრაფი და პირდაპირი კომპლაიანსი (მორჩილება) უკიდურესად იშვიათია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება დიდი ტერიტორიის, ბუნებრივი რესურსების სიუხვით გამორჩეულ და ავტოკრატიული მმართველობის მქონე სახელმწიფოებს. ასეთ სისტემებში, რეჟიმის პოლიტიკური გადარჩენის ინსტინქტი და ნაციონალისტური იდეოლოგია თითქმის ყოველთვის სძლევს წმინდა ეკონომიკურ რაციონალურობას.

შესაბამისად, თანამედროვე პოლიტიკურ ეკონომიაში წინა პლანზე იწევს არა იძულების, არამედ „შეზღუდვისა“ და პოტენციალის დეგრადაციის (Containment and Constraint) ლოგიკა. ახალი თაობის მკვლევრების აზრით, თანამედროვე სანქციების მთავარი რეალისტური მიზანია, არა მოწინააღმდეგის ნების მყისიერი გატეხვა, არამედ მისი ფიზიკური და სტრუქტურული შესაძლებლობების სისტემატური შემცირება, შემოსავლების, ტექნოლოგიური განახლებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მიზანმიმართული დეფიციტის შექმნა, რათა აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმოებისთვის საჭირო რესურსები, კრიტიკულად გაძვირდეს. აკადემიურ დებატებში მკაფიო დაპირისპირებაა იმ მკვლევრებს შორის, რომლებიც სანქციების წარმატებას მხოლოდ სწრაფ ქცევით ცვლილებაში ზომავენ, და მათ შორის, ვინც ყურადღებას ამახვილებს რესურსების გრძელვადიან შეზღუდვაზე.

ამ რთული პროცესის ასახსნელად განსაკუთრებით რელევანტური და გავლენიანია, ფარელისა და ნიუმენის მიერ შემოთავაზებული **„იარაღად ქცეული ურთიერთდამოკიდებულების“** (Weaponized Interdependence) თეორია (Farrell & Newman, 2019). ავტორები დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, ეკონომიკური ქსელები არ არის სიმეტრიული; პირიქით, ისინი ღრმად ცენტრალიზებული და ასიმეტრიულია. დასავლეთის ქვეყნები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები,

აკონტროლებენ მსოფლიო ეკონომიკის სასიცოცხლო კვანძებს (Chokepoints), როგორცაა დოლარის კლირინგის სისტემა, საერთაშორისო საბანკო შეტყობინებების ქსელი (SWIFT), გლობალური სადაზღვევო სერვისები და ინტელექტუალური საკუთრება ნახევარგამტარების დიზაინში. სანქციები სწორედ ამ კვანძების ექსპლუატაციის მეშვეობით ახორციელებს სტრუქტურულ ზეწოლას. როდესაც იზრდება სამართლებრივი და რეპუტაციული რისკი, გლობალური კერძო სექტორი, ტრანსნაციონალური კორპორაციები, ბანკები ხშირად მიმართავენ „ზედმეტ კომპლაიანსს“ (Over-compliance), ანუ წინასწარ წყვეტენ ურთიერთობას სამიზნესთან, რათა თავიდან აირიდონ მრავალმილიარდიანი ჯარიმები. ეს ფენომენი მნიშვნელოვნად აძლიერებს ზეწოლას, თუმცა, მეორე მხრივ, ქმნის გლობალური ბაზრების ფრაგმენტაციის რისკს.

სანქციების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები, აუცილებლად მრავალგანზომილებიანი უნდა იყოს. ნიკოლას მალდერი (Mulder, 2022) თავის კვლევებში გამოყოფს ეკონომიკური სანქციების წარმატების ოთხ განსხვავებულ დონეს: 1. პირდაპირი ქცევითი ცვლილება (ყველაზე რთულად მისაღწევი); 2. რესურსების შეზღუდვა კონკრეტული მიზნისთვის; 3. ეკონომიკური დეზინტეგრაცია და ტრანზაქციული ხარჯების სისტემური ზრდა; 4. სიგნალური ან ნორმატიული ეფექტი, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ნორმების დაცვის დემონსტრირებას. საჯარო სივრცესა და მედიაში სანქციების წარმატების მხოლოდ პირველ დონეზე შეფასება ბუნებრივად იწვევს არაეფექტურობის ილუზიას, მაშინაც კი, როდესაც დანარჩენ სამ დონეზე სტრუქტურული ზიანი უზარმაზარია.

სანქციების გვერდის ავლის (Evasion) და ადაპტაციის ფენომენი კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ემბარგო თავისთავად შობს უზარმაზარ ფინანსურ სტიმულს ალტერნატიული, თუნდაც არალეგალური სავაჭრო გზების მოსაძებნად. Felbermayr et al. (2025) ემპირიულ მონაცემებზე, საბაჟო და სავაჭრო სტატისტიკაზე დაყრდნობით აჩვენებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი ვაჭრობა სანქციონერ ქვეყნებთან რადიკალურად მცირდება, დივერსია მესამე ქვეყნების (ე.წ. ტრანზიტული კვანძების) გავლით ნაწილობრივ ავსებს ამ დანაკლისს. Funke et al. (2025) თავიანთ მოდელურ ანალიზში ამტკიცებენ, რომ ეს ალტერნატიული ვაჭრობა, არ არის სრულფასოვანი ჩანაცვლება; ის ქმნის ტექნოლოგიურ „გადადების ეფექტს“ და მკვეთრად ზრდის შუამავლების მარჟას, რაც საბოლოოდ მაინც აზარალებს სამიზნეს. ამ კონტექსტში მეორეული სანქციების როლი და სამართლებრივი ბუნება 2022 წლის შემდეგ სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც დეტალურად არის შესწავლილი რუისისა და როდრიგეს სილვესტრეს ნაშრომში (Ruys & Rodriguez Silvestre, 2024). ავტორები აანალიზებენ ექსტრატერიტორიული იძულების მზარდ მნიშვნელობას და აჩვენებენ, თუ როგორ ცვლის აშშ-ის ხაზინის მიერ გატარებული ზომები საერთაშორისო სამართლის ტრადიციულ ჩარჩოებს მესამე ქვეყნების აქტორებზე ზემოქმედების გზით.

რაც შეეხება გლობალური არასტაბილურობის კონტექსტს, მსოფლიო ბანკის (World Bank, 2022) ანგარიშები და ეკონომისტების კვლევები (Arndt et al., 2023) ნათლად მიუთითებენ, რომ ომითა და შემდგომი ემზარგოებით პროვოცირებულმა ენერგეტიკულმა და სასურსათო შოკებმა გაამძაფრა გლობალური ინფლაცია. ეს მაკროეკონომიკური ტურბულენტობა განსაკუთრებით მძიმედ აისახა მოწყვლად ეკონომიკებზე და თავად სანქციონერ სახელმწიფოებშიც კი გაზარდა პოლიტიკური პოლარიზაცია. ეს ყველაფერი ართულებს სანქციონერთა კოალიციის ერთიანობის შენარჩუნებას და ამცირებს პოლიტიკურ სივრცეს ახალი, კიდევ უფრო მკაცრი შეზღუდვების მისაღებად. წინამდებარე კვლევა ავსებს არსებულ აკადემიურ ხარვეზს იმით, რომ იგი გვთავაზობს ოთხი კონკრეტული ზემოქმედების არხის ერთობლივ, დიფერენცირებულ ანალიზს, რაც აქამდე ნაკლებად იყო წარმოდგენილი ინტეგრირებული სახით.

3. მასალები და მეთოდები

წინამდებარე სამეცნიერო კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის დიზაინს, კერძოდ, სიღრმისეულ დოკუმენტურ და შედარებით-ანალიტიკურ მეთოდებს. შერჩეული მეთოდოლოგიური მიდგომა მიზანმიმართულად აერთიანებს აღწერით (Descriptive) და განმარტებით (Explanatory) კომპონენტებს, რათა შესაძლებელი გახდეს სანქციების კომპლექსური არქიტექტურისა და მისი მრავალშრიანი ეფექტიანობის ობიექტური შეფასება. კვლევის მთავარი მიზანია დასავლეთის მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური იძულების რეალური ეფექტიანობის ობიექტური, დიფერენცირებული შეფასება ოთხი ძირითადი ზემოქმედების არხის ანალიზის საფუძველზე.

ემპირიული მონაცემების შეგროვება განხორციელდა მეორეული წყაროების (Secondary Data) დეტალური სინთეზის გზით. სანქციების პოლიტიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც პირველადი მონაცემები ხშირად გასაიდუმლოებულია ან დაფარულია ჩრდილოვანი სქემებით, მეორეული, ინსტიტუციური მონაცემების გამოყენება, ყველაზე ვალიდურ მიდგომად მიიჩნევა. კვლევის ძირითად საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტები და სტატისტიკური ანგარიშები.

კერძოდ, მაკროეკონომიკური ადაპტაციის შესაფასებლად გამოყენებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (International Monetary Fund, 2025) უახლესი პროგნოზები და ეკონომიკური ზრდის მონაცემთა ბაზები. ენერგეტიკული სექტორის ტრანსფორმაციის გასაანალიზებლად სინთეზირებულია საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (International Energy Agency, 2025) ანგარიშები ნავთობის გლობალური ბაზრის, ფასდაკლებებისა და მიწოდების ჯაჭვების შესახებ. სანქციების სამართლებრივი არქიტექტურის შესასწავლად გაანალიზებულია ევროკავშირის საბჭოს ოფიციალური პუბლიკაციები სანქციების პაკეტების შესახებ (Council of the European Union, 2025) და აშშ-ის

ხაზინის დეპარტამენტის კერძოდ, უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის (U.S. Department of the Treasury, 2024) რეგულაციები და მითითებები.

სანქციების ეფექტიანობის სისტემური შეფასებისთვის კვლევაში განხორციელდა დამოკიდებული ცვლადის (ეფექტიანობის) ოპერაციონალიზაცია ოთხი დამოუკიდებელი ინდიკატორის ანუ ზემოქმედების არხის მიხედვით. ეს არხებია: 1. ფინანსური შეზღუდვები და საერთაშორისო კაპიტალზე წვდომა; 2. სავაჭრო-ლოგისტიკური დივერსია და მიწოდების ალტერნატიული ჯაჭვების ეფექტიანობა; 3. ენერგეტიკული ექსპორტის შემოსავლები და ჩრდილოვანი ლოგისტიკის ხარჯები; 4. ტექნოლოგიური ექსპორტ-კონტროლი და მისი გავლენა ინდუსტრიულ-სამხედრო ბაზაზე. კვლევის მეთოდოლოგიურ შეზღუდვას (Limitation) წარმოადგენს მონაცემთა გარკვეული არასრულყოფილება, რაც განპირობებულია, რუსეთის მთავრობის მიერ ეკონომიკური სტატისტიკის მნიშვნელოვანი ნაწილის გასაიდუმლოებითა და სანქციების გვერდის ავლის, ჩრდილოვანი ქსელების არსებობით. ამ პრობლემის დასაბალანსებლად კვლევაში მაქსიმალურად არის გამოყენებული მრავალწყაროიანი ტრიანგულაციის (Triangulation) პრინციპი, დასკვნები ეფუძნება არა ერთ იზოლირებულ ინდიკატორს, არამედ სავაჭრო, ფინანსური და ენერგეტიკული არხების მონაცემთა ურთიერთგადაკვეთას.

კვლევის ემპირიულ-თეორიული ბაზა ეფუძნება რუსეთის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების და ეკონომიკური მაკრო-ინდიკატორების ტრიანგულაციას. კვლევის პროცედურა ხორციელდება რამდენიმე მკაფიო ეტაპად: წყაროების მიზნობრივი შერჩევა, მონაცემების კლასიფიკაცია ოთხი არხის მიხედვით, არხების ოპერაციონალიზაცია და შედეგების სინთეზი. 2022-2025 წლების პერიოდში სანქციების ეფექტიანობის შეფასებისას, ჩვენ ვიყენებთ „კონტროლის ჯგუფის“ პრინციპს, სადაც შედარებულია სანქციამდელი (2014-2021) და სანქციების შემდგომი პერიოდის (2022-2025) ეკონომიკური მონაცემები. მონაცემთა დამუშავებისას, გამოყენებულ იქნა როგორც დესკრიპტიული სტატისტიკური ანალიზი, ისე სიტუაციური მოდელირება, რაც გულისხმობს 'რა მოხდებოდა სანქციების გარეშე' (Counterfactual analysis) ჰიპოთეზების შემოწმებას. აღნიშნული მეთოდი საშუალებას გვაძლევს სანქციების ეფექტი გავმიჯნოთ ომის უშუალო ეკონომიკური შედეგებისგან და დავინახოთ მათი წმინდა დამატებითი ზეგავლენა რუსეთის ეკონომიკურ პოტენციალზე. წყაროების ვალიდურობა უზრუნველყოფილია მათი საერთაშორისო რეცენზირებადი ბაზებიდან (Crossref, IMF DataMapper) მოძიებით, რაც გამორიცხავს მონაცემთა მანიპულაციას. თითოეულ არხში „ეფექტიანობა“ განისაზღვრება სამიზნე სექტორის სტრუქტურული დეგრადაციითა და ტრანზაქციული ხარჯების ზრდით, ხოლო „შეზღუდული ეფექტიანობა“ — ალტერნატიული ჩრდილოვანი ქსელებით ფიზიკური მოცულობების ნაწილობრივი კომპენსირებით.

ცხრილი 1: კვლევაში გამოყენებული მასალებისა და წყაროების სტრუქტურული მატრიცა

წყარო (Source)	დოკუმენტის/ ბაზის ტიპი	განხილუ ლი პერიოდი	გამოყენებული ინდიკატორები	ანალიტიკური ფუნქცია სტატიაში
IMF	World Economic Outlook & DataMapper	2014–2025	რეალური მშპ-ის ზრდა, ფისკალური დეფიციტი, ინფლაციის დონე	„სამხედრო კეინზიანიზმის“ და შიდა მაკროეკონომიკურ ი ადაპტაციის ლიმიტების შეფასება
IEA	Oil Market Reports	2022–2025	საექსპორტო მოცულობები, Urals-Brent საფასური (Spread), ნავთობშემოსავლ ები	ენერგეტიკული ემბარგოს, ფასის ჭერისა და ჩრდილოვანი ფლოტის ხარჯების ანალიზი
World Bank	Global Economic Prospects & Reports	2022–2025	სასურსათო და ენერგეტიკული ინფლაციის ინდექსები, სავალუტო რეზერვები	გლობალური არასტაბილურობის შოკებისა და რეზერვების დივერსიფიკაციის შეფასება
Council of the EU	ევროკავშირის ოფიციალური პაკეტები	2022–2025	სავაჭრო აკრძალვები, ანტი-გვერდის ავლის (Anti-	დასავლური კოალიციის სამართლებრივი არქიტექტურისა და

წყარო (Source)	დოკუმენტის/ ბაზის ტიპი	განხილუ ლი პერიოდი	გამოყენებული ინდიკატორები	ანალიტიკური ფუნქცია სტატიაში
			circumvention) სამართლებრივი ზომები	აღსრულების დინამიკის შესწავლა
U.S. Treasury (OFAC)	OFAC რეგულაციები და სანქციების სიები	2022–2025	მეორეული სანქციების (Secondary Sanctions) დეკრეტები, SDN სიები	ექსტრატერიტორი ული იძულებისა და ფინანსური „de- risking“-ის ეფექტების ანალიზი

4. შედეგების განხილვა

შედეგების განხილვა სისტემატიზებულია და წარმოდგენილია სანქციების ზემოქმედების ძირითადი ოთხი არხისა და მათზე რუსეთის ინსტიტუციური თუ მაკროეკონომიკური ადაპტაციის სტრატეგიების მიხედვით. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა დავინახოთ, როგორც სანქციების პირდაპირი ზიანი, ისე სამიზნე სახელმწიფოს საპასუხო მოქმედებების ეფექტიანობა.

4.1. მაკროეკონომიკური ტრანსფორმაცია და ფინანსური შეზღუდვები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით (International Monetary Fund, 2025) დაფიქსირებული რუსეთის მშპ-ის პოზიტიური ზრდა 2023-2024 წლებში ხშირად გამოიყენება პოლიტიკურ რიტორიკაში, როგორც სანქციების სრული ჩავარდნის და არაეფექტურობის უტყუარი მტკიცებულება. თუმცა, შედეგების სიღრმისეული ანალიზი აჩვენებს, რომ ეს ეკონომიკური ზრდა თვისობრივად განსხვავდება მშვიდობიანი პერიოდის განვითარებისგან. ეკონომიკა სრულად გადავიდა "ომის ეკონომიკის" (War Economy) სტრუქტურულ რეჟიმზე.

ეკონომიკური აქტივობის ზრდა თითქმის მთლიანად განპირობებულია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული უპრეცედენტო, კოლოსალური ფისკალური ინექციებით. ე.წ. "სამხედრო კეინზიანიზმი" მართლაც ქმნის სამუშაო ადგილებს და ხელოვნურად ზრდის ხელფასებს თავდაცვის სექტორში, თუმცა ეს

პროცესი ხდება სამოქალაქო სექტორის ინოვაციების დეგრადაციის, ტექნოლოგიური ჩამორჩენისა და ეროვნული რეზერვების (კერძოდ, ეროვნული კეთილდღეობის ფონდის) ეტაპობრივი ამოწურვის ხარჯზე. კონკრეტული ემპირიული მაჩვენებლები მოწმობს, რომ რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა ინფლაციური წნეხის დასაძლევად ძირითადი საპროცენტო განაკვეთი რეკორდულ 16%-მდე, შემდგომ კი 21%-მდე გაზარდა, რაც პირდაპირ ზღუდავს სამოქალაქო სექტორის დაკრედიტებას. ასობით ათასი კვალიფიციური კადრის ემიგრაციამ და ფრონტზე მობილიზაციამ გამოიწვია შრომითი ბაზრის უმწვავესი დეფიციტი, რაც აჩქარებს ინფლაციას და სტრუქტურულად ზღუდავს პროდუქტიულობის ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში. ფისკალური სტიმულირება ვერ ჩაანაცვლებს სტრუქტურულ რეფორმებს, რაც საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის გადახურებას იწვევს.

რაც შეეხება პირდაპირ ფინანსურ სანქციებს, ძირითადი სისტემური ბანკების საერთაშორისო გადახდის სისტემიდან (SWIFT) გათიშვამ და ცენტრალური ბანკის 300 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სუვერენული აქტივების გაყინვამ იმუშავა როგორც უძლიერესმა ბერკეტმა. ამან რადიკალურად გაზარდა საერთაშორისო ვაჭრობის ტრანზაქციული ხარჯები. საპასუხოდ, რუსეთმა მოახდინა საკუთარი ეკონომიკის იძულებითი დედოლარიზაცია, გააქტიურა შიდა გადახდის სისტემა (SPFS) და კრიტიკულად გაზარდა დამოკიდებულება ჩინურ იუანსა და ჩინურ კლირინგის სისტემაზე (CIPS). ეს ნაბიჯები ართულებს ეკონომიკის მყისიერ კოლაფსს მოკლე ვადაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანას სრულად გარიყავს დასავლური კაპიტალის ბაზრებიდან, რაც შეუძლებელს ხდის მსხვილი ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების (მაგალითად, ახალი თხევადი გაზის, LNG ტერმინალების) დაფინანსებას.

4.2. ენერგეტიკული არხი და "ჩრდილოვანი ლოგისტიკა"

ენერგეტიკული სექტორი რუსეთის ბიუჯეტის მთავარ საყრდენს წარმოადგენს. ამ სფეროში დასავლური კოალიციის მიზანი, პარადოქსული ამოცანის გადაჭრა იყო: მსოფლიო ბაზარზე ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად ნავთობის მიწოდების გაგრძელება, თუმცა ამავდროულად, რუსეთის მოგების მარჟის რადიკალური შემცირება (International Energy Agency, 2025). ევროპულმა საზღვაო ემბარგომ და G7-ის მიერ დაწესებულმა 60-დოლარიანმა ფასის ჭერმა (Price Cap) გამოიწვია ექსპორტის გეოგრაფიის სრული ცვლილება, ნაკადების იძულებითი გადამისამართება აზიურ ბაზრებზე, უპირველესად ჩინეთსა და ინდოეთში.

ამ შეზღუდვების საპასუხოდ, როგორც Cardoso (2025) დეტალურად აღწერს და ხაზს უსვამს, რუსეთმა შექმნა ე.წ. „ჩრდილოვანი ფლოტი“ (Shadow Fleet). საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემებით ეს ქსელი მოიცავს 600-ზე მეტ მოძველებულ ტანკერს, რომლებიც ოპერირებენ დასავლური სადაზღვევო კლუბების (P&I Clubs) გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოვანმა ფლოტმა რუსეთს ნავთობის ექსპორტის ფიზიკური მოცულობის

შენარჩუნების საშუალება მისცა, მან კოლოსალურად გაზარდა ლოგისტიკური და ტრანზაქციული ხარჯები. ბალტიის ზღვიდან ინდოეთამდე მარშრუტი გაცილებით გრძელია, დაზღვევა რისკის გამო ძვირია, ხოლო აზიელი მყიდველები, მონოპსონიური ძალაუფლების გამოყენებით, ითხოვენ მნიშვნელოვან ფასდაკლებებს რუსულ Urals მარკის ნავთობზე Brent-თან მიმართებაში. ემპირიული მონაცემები აჩვენებს, რომ 2022-2023 წლებში ეს დისკაუნტი (Spread) ბარელზე 20-30 აშშ დოლარს აღწევდა, ხოლო შემდგომ პერიოდში 12-15 დოლარის ფარგლებში დასტაბილურდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა საგადასახადო შემოსავლები ფედერალურ ბიუჯეტში. შესაბამისად, რეალური ენერგეტიკული შემოსავლები მნიშვნელოვნად არის შემცირებული და მუდმივი ზეწოლის ქვეშ რჩება.

4.3. ტექნოლოგიური ექსპორტ-კონტროლი და დივერსია

ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიებზე მიკროჩიპებსა და მაღალტექნოლოგიურ ჩარხებზე, დაწესებული ექსპორტ-კონტროლი (U.S. Department of the Treasury, 2024) წარმოადგენს სანქციების არქიტექტურის ყველაზე მნიშვნელოვან გრძელვადიან კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს, რუსეთის სამხედრო-ინდუსტრიული პოტენციალის სტრუქტურულ დევალვირებას.

მოკლევადიან პერსპექტივაში რუსეთმა სცადა დეფიციტის კომპენსირება მარაგების გამოყენებით და მესამე ქვეყნების (ცენტრალური აზია, კავკასია, თურქეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები) გავლით რე-ექსპორტის ქსელების ამოქმედებით. თუმცა, როგორც Felbermayr et al. (2025) ემპირიულად აჩვენებენ, შუამავლების ჩართვა და მიწოდების ჯაჭვების ხელოვნური დაგრძელება უდიდეს პრობლემებს ქმნის. კრიტიკული კომპონენტების ფასი იზრდება მინიმუმ 30-50%-ით, მიწოდების ვადები ხანგრძლივდება, და რაც მთავარია, სამხედრო ინდუსტრიისთვის შეუძლებელი ხდება ხარისხის კონტროლისა და გარანტიის შენარჩუნება (მაღალია წუნდებული ან ყალბი ჩიპების მოწოდების რისკი). ტექნოლოგიური ემბარგო არ არის უხილავი კედელი, რომელიც ყველაფერს აჩერებს, მაგრამ ის მოქმედებს, როგორც სქელი წებო, რომელიც აფერხებს რთული სარაკეტო და საავიაციო სისტემების მასობრივ, სერიულ წარმოებას და აძვირებს ომის წარმოების ფასს.

4.4. გლობალური არასტაბილურობა და აღსრულების პრობლემები

მიღებული შედეგების სინთეზი ნათლად მიუთითებს, რომ გლობალური მაკროეკონომიკური და პოლიტიკური შოკები, მნიშვნელოვნად ასუსტებს სანქციების ეფექტიანობას და აფერხებს მათ სრულფასოვან აღსრულებას. ომით პროვოცირებულმა ენერგეტიკულმა კრიზისმა და სასურსათო ინფლაციამ დასავლურ საზოგადოებებში

გაზარდა ცხოვრების ხარჯები, რამაც წარმოშვა შიდა პოლიტიკური წნეხი და ე.წ. „სანქციური დაღლილობის“ (Sanctions fatigue) საფრთხე (World Bank, 2022; Arndt et al., 2023).

გვერდის ავლის სქემების მზარდი დინამიკა პირდაპირ აისახება დასავლეთის შიდა დებატებზე. გარდა ამისა, სანქციების გლობალურ აღსრულებას სერიოზულად აფერხებს გლობალური სამხრეთის (Global South) პოზიციონირება. ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და მრავალი სხვა სახელმწიფო, უარს ამბობს ემბარგოსთან მიერთებაზე, მიიჩნევს რა მას „ევროპულ კონფლიქტად“ და სანქციებს აღიქვამს, როგორც დასავლური ფინანსური ჰეგემონიის იარაღს. მათი პრაგმატული, ეროვნულ ინტერესებზე მორგებული ნეიტრალიტეტი, ქმნის იმ უზარმაზარ ალტერნატიულ ბაზარს და იურისდიქციულ სივრცეს, რომელიც აფინანსებს და იფარებს სანქციების გვერდის ავლის სქემებს. ამ პირობებში, დასავლური კოალიციის მთავარ ამოცანად და პოლიტიკურ პრიორიტეტად იქცევა არა ახალი, უფრო ფართო შეზღუდვების დეკლარირება, არამედ უკვე დაწესებული პაკეტების მკაცრი აღსრულება (Enforcement), რისთვისაც აუცილებელია მეორეული სანქციების მექანიზმის უფრო აგრესიული გამოყენება მესამე ქვეყნების ფინანსური და ლოგისტიკური ინსტიტუტების მიმართ.

4.5. აშშ-ისა და ევროკავშირის კოორდინაციის ასიმეტრია და მეორეული სანქციების აღსრულება

სანქციების ეფექტიანობის შეფასებისას, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სანქციონერი კოალიციის შიგნით არსებული პოლიტიკური და იურისდიქციული დინამიკის გაანალიზება. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა უპრეცედენტო ერთიანობა აჩვენეს, შემზღუდავი ზომების დაწესების საწყის ეტაპზე, დროთა განმავლობაში ნათლად გამოიკვეთა აღსრულების ასიმეტრია, რაც რუსეთს დამატებით საადაპტაციო სივრცეს უქმნის. ეს ასიმეტრია ძირითადად განპირობებულია ევროპული და ამერიკული სამართლებრივი არქიტექტურების ფუნდამენტური სხვაობით (Council of the European Union, 2025).

ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის დეპარტამენტი და მისი უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი (OFAC) აქტიურად იყენებს ე.წ. „მეორეული სანქციების“ (Secondary Sanctions) მექანიზმს. ეს ინსტრუმენტი აშშ-ს აძლევს ექსტრატერიტორიული იურისდიქციის გამოყენების საშუალებას, რათა დასაჯოს მესამე ქვეყნების (მაგალითად, თურქეთის, ჩინეთის ან არაბთა გაერთიანებული საამიროების) ფინანსური ინსტიტუტები, თუ ისინი რუსულ სანქცირებულ კომპანიებთან ტრანზაქციებს განახორციელებენ. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც კონსენსუსზეა დაფუძნებული, ტრადიციულად ერიდება ექსტრატერიტორიულ სანქციებს. ევროპული სანქციების აღსრულება დამოკიდებულია ცალკეული წევრი სახელმწიფოების ეროვნულ

ორგანოებზე, რაც ხშირად აღსრულების სტანდარტების ფრაგმენტაციას იწვევს, რაც ბიუროკრატიულ ბარიერებს ქმნის.

შედეგად, წარმოიქმნება პარადოქსული სურათი: გლობალური ფინანსური ინსტიტუტები ბევრად უფრო მკაცრად იცავენ ამერიკულ მოთხოვნებს (დოლარზე წვდომის დაკარგვის შიშით), ვიდრე ევროპულს. მეორეული სანქციების შიშით გამოწვეული „ზედმეტი კომპლაიანსი“ (Over-compliance) ხშირად აფერხებს რუსეთის ლეგალურ ვაჭრობასაც კი, თუმცა ევროპული აღსრულების სისუსტე ნაწილობრივ აბალანსებს ამ წნეხს. სანქციების პოლიტიკის შემდგომი ეფექტიანობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა ევროკავშირი შემდგომ პაკეტებში ინტეგრირებული ანტი-გვერდის ავლის ინსტრუმენტების (Anti-circumvention tools) რეალურ პრაქტიკაში ეფექტურად ამოქმედებას და აშშ-ის ხისტ მიდგომასთან სინქრონიზაციას.

4.6. ფინანსური არქიტექტურის გლობალური ფრაგმენტაცია და რეპუტაციული რისკები

სანქციების ეფექტიანობის ანალიზი არასრულფასოვანი იქნება იმ გრძელვადიანი სისტემური გარე ეფექტების უგულებელყოფით, რომელსაც გლობალურ ფინანსურ არქიტექტურაზე ახდენს ეკონომიკური იძულება. რუსეთის დასავლური ფინანსური სისტემიდან, კერძოდ SWIFT-ის საერთაშორისო გადახდების ქსელიდან და დოლარის კლირინგიდან იზოლაციამ, მძლავრი კატალიზატორის როლი შეასრულა ე.წ. გლობალური სამხრეთისთვის (Global South) ინსტიტუციური ალტერნატივების ფორმირების პროცესში. მსოფლიო ბანკის (World Bank, 2022) ანგარიშები მიუთითებენ, რომ დასავლური ვალუტების მიმართ ნდობის შერყევამ გამოიწვია ცენტრალური ბანკების რეზერვების დივერსიფიკაციის უპრეცედენტო ტალღა, რაც ზრდის ოქროსა და ალტერნატიული აქტივების წილს გლობალურ პორტფელებში.

რუსეთის საპასუხო მაკროეკონომიკური სტრატეგია ეფუძნება ეროვნულ ვალუტებში ვაჭრობის სტიმულირებას, რასაც ინტენსიურად უჭერს მხარს BRICS-ის ფორმატი (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა და ახალი წევრები). კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რუსეთ-ჩინეთის ორმხრივ ვაჭრობაში იუანის წილმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია, ხოლო რუსეთის სარეზერვო აქტივები სრულად არის დამოკიდებული ჩინურ ვალუტაზე. მიუხედავად იმისა, რომ იუანი ჯერ კიდევ ვერ უწევს კონკურენციას დოლარს საერთაშორისო ლიკვიდურობის კუთხით, ჩინური ტრანსსასაზღვრო ბანკთაშორის გადახდის სისტემის (CIPS) გამოყენების მკვეთრი ზრდა, მიუთითებს გლობალური ფინანსური ინფრასტრუქტურის ფრაგმენტაციაზე.

ეს ტენდენცია პირდაპირ აისახება სანქციების ლოგიკაზე: რაც უფრო მეტად ხდება ეკონომიკური ქსელების კონტროლი (Farrell & Newman, 2019) და რაც უფრო მკაცრია ფინანსური სანქციები, მით უფრო იზრდება მესამე სახელმწიფოების სტიმული შექმნან

დოლარისა და ევროსგან დამოუკიდებელი, სანქციების მიმართ რეზისტენტული კლირინგის სისტემები. შესაბამისად, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ფინანსური ბლოკადის პარალელურად, დასავლური კოალიცია აწყდება გრძელვადიან სტრატეგიულ რისკს, გლობალური ეკონომიკური კონტროლის მექანიზმების ეტაპობრივ დასუსტებას. ეს ნიშნავს, რომ მომავალში მსგავსი სანქციური რეჟიმების ამოქმედება სხვა აქტორების წინააღმდეგ შესაძლოა ბევრად ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდეს, ალტერნატიული ფინანსური არხების არსებობის გამო.

სანქციების ეფექტიანობის დისკუსიაში ასევე გასათვალისწინებელია ე.წ. „რეპუტაციული რისკების“ ფაქტორი, რაც ემპირიულად არ აისახება მშპ-ს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში, მაგრამ სისტემურად აზიანებს ეკონომიკას. დასავლური ბანკების მიერ რუსულ სექტორთან თანამშრომლობის შეწყვეტა (de-risking) გამოიწვია არა მხოლოდ სამართლებრივმა აკრძალვებმა, არამედ კორპორაციულმა შიშმა, რომ სამომავლოდ შესაძლოა ისინიც მოხვდნენ სანქციების სიაში. ეს ქმნის „ფინანსურ იზოლაციას“, რომელიც ბევრად უფრო მტკივნეულია, ვიდრე უშუალოდ სავაჭრო შეზღუდვები. მაგალითად, რუსული კომპანიები ვერ ახერხებენ საერთაშორისო ტექნიკური აუდიტის ჩატარებას, რაც კრიტიკულ ინფრასტრუქტურას (ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები) მწყობრიდან გამოსვლის რისკის ქვეშ აყენებს. ეს არის გრძელვადიანი სტრუქტურული ზიანი, რომელიც არ ჩანს მოკლევადიან სტატისტიკაში, თუმცა განსაზღვრავს რუსეთის ეკონომიკურ ტრექტორიას მომდევნო ათწლეულის განმავლობაში.

ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სანქციების ეფექტიანობის შეფასება უნდა გასცდეს მხოლოდ სამიზნე ქვეყანაზე ფოკუსირებულ ლოგიკას და მოიცვას ის სისტემური ტრანსფორმაციები, რომლებსაც ეს ინსტრუმენტი იწვევს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის დონეზე. მესამე ქვეყნების ნეიტრალიტეტი და მათი სურვილი ისარგებლონ ალტერნატიული სავაჭრო არხებით წარმოადგენს მთავარ სტრუქტურულ ბარიერს სანქციების სრულფასოვანი აღსრულებისთვის.

5. დასკვნები

ჩატარებული სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ცალსახად დასტურდება, რომ სანქციების „არაეფექტიანობის“ შესახებ ფართოდ გავრცელებული დისკურსი, დიდწილად გამომდინარეობს არასწორი მაქსიმალისტური მოლოდინებიდან და ეფექტიანობის შესაფასებლად გამოუსადეგარი, მოკლევადიანი მაკრო-ინდიკატორების (როგორცაა ომის ეკონომიკით სტიმულირებული მშპ-ის ზრდა) გადაფასებიდან. თუ ეკონომიკური იძულების საბოლოო მიზნად ვისახავთ მყისიერ პოლიტიკურ კაპიტულაციასა და ავტოკრატიული რეჟიმის ქცევის უპირობო შეცვლას, სანქციები ამ მიზანს ვერ აღწევს. თუმცა, როდესაც ანალიზს ვახორციელებთ შეზღუდვისა და დეგრადაციის პრიზმიდან, ვლინდება, რომ ეკონომიკური სანქციები მძლავრ და ეფექტიან იარაღს წარმოადგენს,

რომელიც ზღუდავს სამიზნე სახელმწიფოს გრძელვადიან მოდერნიზაციას. ნაშრომში დასმული კვლევითი კითხვების შესაბამისად, ნათელი ხდება, რომ დასავლეთის მიერ გამოყენებული ოთხივე არხი აწესებს სერიოზულ სტრუქტურულ ლიმიტებს სამიზნე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, მიუხედავად გვერდის ავლის ალტერნატიული ქსელების არსებობისა.

რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედებულმა უპრეცედენტო შეზღუდვებმა, წარმატებით მიაღწია ეკონომიკის სტრუქტურულ იზოლაციას: კოლოსალურად გაიზარდა საერთაშორისო ვაჭრობის ტრანზაქციული ხარჯები, შეიქმნა კრიტიკული და გრძელვადიანი ტექნოლოგიური დეფიციტი სამხედრო ინდუსტრიაში და ეკონომიკა პრაქტიკულად, სრულად მოწყდა გლობალურ საინვესტიციო და ფინანსურ ქსელებს. მართალია, ეკონომიკური ბლოკის მიერ გატარებული ადმინისტრაციული ადაპტაცია, ჩრდილოვანი ფლოტის შექმნა და მესამე ქვეყნების გავლით რე-ექსპორტის აწყობა ზრდის რეჟიმის მოკლევადიან ფინანსურ გამძლეობას, მაგრამ ეს ყველაფერი მიიღწევა სახელმწიფოს მომავალი განვითარების რესურსების, ინოვაციური პოტენციალისა და ადამიანური კაპიტალის დევალვირების ხარჯზე.

გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ენერგეტიკული და სასურსათო კრიზისების თანხლებით აფერხებს კოალიციის ერთიანობას და ქმნის ფართო იურისდიქციულ სივრცეს სანქციების გვერდის ავლისთვის. შესაბამისად, ეკონომიკური შეკავების სტრატეგიის საბოლოო წარმატება დამოკიდებული იქნება დასავლური კოალიციის პოლიტიკურ ნებაზე, რათა შეინარჩუნოს გრძელვადიანი წნეხი, გააძლიეროს მიწოდების კრიტიკული ჯაჭვების მკაცრი ტექნოლოგიური მონიტორინგი და სისტემატურად ამოქმედოს მეორეული სანქციები იმ აქტორების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობენ ემბარგოს მოთხოვნების დარღვევას. პოლიტიკის წარმატება მოითხოვს არა მხოლოდ კოალიციურ ერთობას, არამედ გლობალურ სამხრეთთან ახალი, უფრო პრაგმატული პარტნიორული არხების ჩამოყალიბებას.

კვლევის შეზღუდვები (Limitations): წინამდებარე კვლევის ძირითად შეზღუდვას წარმოადგენს სამიზნე სახელმწიფოს მიერ ოფიციალური მაკროეკონომიკური და სავაჭრო სტატისტიკის ნაწილობრივი გასაიდუმლოება. გარდა ამისა, ჩრდილოვანი ლოგისტიკური ქსელებისა და მესამე ქვეყნების გავლით არალეგალური რე-ექსპორტის ზუსტი ფინანსური მასშტაბების შეფასება ხასიათდება ბუნებრივი გაუმჭვირვალობით. კვლევის დამატებით სირთულეს წარმოადგენს სანქციების იზოლირებული ეფექტის სრულყოფილი გამიჯვნა უშუალოდ ომის თანმდევი გლობალური საბაზრო შოკებისა და შიდა ფისკალური მანიპულაციებისგან.

კვლევის ეთიკა

წინამდებარე ნაშრომი სრულად პასუხობს სამეცნიერო კვლევის ეთიკურ სტანდარტებს. კვლევა დაფუძნებულია ექსკლუზიურად საჯაროდ ხელმისაწვდომ, მეორეულ ინსტიტუციურ მონაცემთა ბაზებსა და საერთაშორისო ანგარიშებზე. ნაშრომი არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, არ მოითხოვს დახურულ იურისდიქციულ ბაზებზე წვდომას და არ იყენებს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

განცხადება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ

გამჭვირვალობისა და კვლევის ეთიკის უზრუნველსაყოფად, ავტორი აცხადებს, რომ წინამდებარე სამეცნიერო სტატიის მომზადების პროცესში გამოყენებულ იქნა ხელოვნური ინტელექტის დიდი ენობრივი მოდელი Google Gemini. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა ტექსტის სტილისტური და გრამატიკული დახვეწა, აკადემიური სიციხადის უზრუნველყოფა, მასალის ლოგიკური გადანაწილება ჟურნალის მიერ მოთხოვნილ IMRD სტრუქტურაზე, ორენოვანი სათაურებისა და ანოტაციების ფორმატირება, ასევე რეცენზენტთა რეკომენდაციების საფუძველზე, მონაცემთა მატრიცული ცხრილის ტექნიკური აგება. კვლევის მთავარი კონცეპტუალური იდეა, თეორიული ჩარჩოს შერჩევა, საკვლევი კითხვების ფორმულირება, მეორეული ფაქტობრივი მონაცემების მოძიება-ანალიზი, შედეგების ინტერპრეტაცია და საბოლოო სამეცნიერო დასკვნები, ეკუთვნის უშუალოდ ავტორს და წარმოადგენს მის ინტელექტუალურ საკუთრებას.

ავტორთა წვლილი: ნაშრომი წარმოადგენს ერთი ავტორის დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევას. ავტორმა დამოუკიდებლად შეასრულა ტექსტის კონცეპტუალიზაცია, მეთოდოლოგიური დიზაინის შემუშავება, მონაცემთა ინტეგრაცია და შედეგების სიღრმისეული ანალიზი.

დაფინანსება: ამ კვლევას არ მიუღია არანაირი გარე ინსტიტუციური, სახელმწიფო ან კერძო დაფინანსება.

მადლობა: ავტორი განსაკუთრებულ მადლობას უხდის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულების აკადემიურ პერსონალს, კვლევის დაგეგმვის პროცესში გაწეული მეთოდოლოგიური კონსულტაციებისა და ღირებული რჩევებისთვის.

ინტერესთა კონფლიქტი: ავტორმა განაცხადა, რომ წინამდებარე კვლევასთან დაკავშირებით, რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს.

ბიბლიოგრაფიული წყაროები

1. Arndt, C., Davies, R., Gabriel, S., Harris, R., Makonnen, K., & Sherman, S. (2023). The Ukraine war and rising commodity prices. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 120(18).
2. Cardoso, D. S. (2025). The price cap on Russian oil exports and the amassing of the shadow fleet. *MIT CEEPR Working Paper 2025-05*.
3. Council of the European Union. (2025). *Sanctions against Russia: Timeline of restrictive measures*. Consilium.
4. Farrell, H., & Newman, A. L. (2019). Weaponized interdependence: How global economic networks shape state coercion. *International Security*, 44(1), 42–79.
5. Felbermayr, G., Heiland, I., et al. (2025). The Global Sanctions Data Base—Release 4: The effects on trade. *The World Economy*.
6. Funke, M., et al. (2025). The limited effectiveness of sanctions on Russia: Modeling sanctions, loopholes, and countermeasures. *SUERF Policy Notes and Briefs*.
7. Hufbauer, G. C., Schott, J. J., Elliott, K. A., & Oegg, B. (2007). *Economic sanctions reconsidered* (3rd ed.). Peterson Institute for International Economics.
8. International Energy Agency. (2025). *Oil Market Report—January 2025: Analysis and Forecasts to 2026*.
9. International Monetary Fund. (2025). *World Economic Outlook (WEO) DataMapper: Russia—Real GDP growth*.
10. Mulder, N. (2022). The sanctions weapon: How the economic weapon was forged. *Finance & Development*.
11. Ruys, T., & Rodriguez Silvestre, F. (2024). Secondary Sanctions after Russia's Invasion of Ukraine: A Whole New World. In *The Cambridge Handbook of Sanctions and International Law*. Cambridge University Press.
12. U.S. Department of the Treasury, Office of Foreign Assets Control. (2024). *Russian harmful foreign activities sanctions (FAQs)*.
13. World Bank. (2022). *Food and energy price shocks from Ukraine war could last for years*. World Bank Press Release.